თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 2

31 იანვარი 2020 წ. ქ. თელავი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 22 დეპუტატი:

**თავმჯდომარეობდა:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილ თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარე — ალექსანდრე კუპატაძე;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე — ბესიკი ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე — გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარის მოადგილე — ზურაბ ნაცარაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარის მოადგილე — ბადური რევაზიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე — მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;
მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი;
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ლევან ღარიბაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი;
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები.

მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
16.00სთ-დან - 16.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
16.20სთ-დან - 16.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
16.30სთ-დან - 16.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
16.40სთ-დან - 16.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2020 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ლ.ღარიბაშვილი
16.50სთ-დან - 17.00სთ-მდე

6. „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2020 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
17.00სთ-დან - 17.10სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
17.10სთ-დან - 17.20სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. დ.ღაღანიძე
17.20სთ-დან - 17.30სთ-მდე

**ნ.ხვისტანმა** და **დ.ღაღანიძემ** აღნიშნეს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 საკითხის ფორმულირება უნდა შეიცვალოს სამუშაო ჯგუფის ვადის გაგრძელების ნაცვლად საკითხი უნდა იქნეს განხილული, როგორც ახალი სამუშაო ჯგუფის შექმნა. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
16.00სთ-დან - 16.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.კოჭლოშვილმა,

ბ.რევაზიშვილმა დასვა კითხვა გარე განათების მოწყობის დაფინანსების თაობაზე.

გ.მამუკელაშვილმა კი სოციალური პროგრამებისათვის თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით.

შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა.

გ.მამუკელაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საჯარო სკოლებში გასულ წელს სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები შესრულდა უხარისხოდ, ამიტომ მიმდინარე წელს მერიის შესაბამისმა სამსახურმა უნდა განახორციელოს მკაცრი კონტროლი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 18-მა (თვრამეტი) წევრმა, **წინააღმდეგი 04 (ოთხი) საკრებულოს წევრი: ზ.ნაცარაშვილი, ზ.გრიშიკაშვილი, ა.კუპატაძე, ბ.რევაზიშვილი.**

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
16.20სთ-დან - 16.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ი.პარწიკანაშვილმა,

გ.მამუკელაშვილმა დასვა კითხვა ზედამხედველობის განყოფილების მიერ საჯარიმო ქვითრის შესახებ.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 18-მა (თვრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 04-მა (ოთხი) საკრებულოს წევრმა: ზ.ნაცარაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა ა.კუპატაძემ, ბ.რევაზიშვილმა.**

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
16.30სთ-დან - 16.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ზ.გრიშიკაშვილმა, ბ.ქოჩიშვილმა, დ.კოჭლოშვილმა** მომხსენებელს დაუსვეს კონკრეტული შკითხვები, რაზეც მიიღეს შესაბამისი განმარტებები.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
16.40სთ-დან - 16.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ზ.გრიშიკაშვილმა, ლ.მრელაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2020 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ლ.ღარიბაშვილი
16.50სთ-დან - 17.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ, გ.მამუკელაშვილმა, ზ.გაიპარაშვილმა,

**ი.პარწიკანაშვილმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სოფელ აკურაში მიმდინარე წელს არ არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 21-მა (ოცდაერთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ი.პარწიკანაშვილმა.**

6.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2020 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
17.00სთ-დან - 17.10სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: გ.მამუკელაშვილმა

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
17.10სთ-დან - 17.20სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

8. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. დ.ღაღანიძე
17.20სთ-დან - 17.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ზ.ნაცარაშვილმა, დ.ქსოვრელიშვილმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. დავით ღაღანიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
2. არჩილ თხლაშიძე - საკრებულოს თავმჯდომარე-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
3. გიორგი ჩაბრაშვილი - ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეები" თავმჯდომარე-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
4. არჩილ თვალიაშვილი - ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
5. ალექსი ძულიაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონა;ური მოძრაობა თავმჯდომარე-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
6. ზურაბ ლილუაშვილი - საკრებულოს წევრი-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
7. გოჩა წაწალაშვილი - საკრებულოს წევრი-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
8. იოსებ პარწიკანაშვილი - საკრებულოს წევრი-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;
9. ზურაბ ნაცარაშვილი - ფრაქციის „ძლიერი სოფელი" თავმჯდომარის მოადგილე-დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY COUNCIL
231291535